

# სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა: სელექტივიზმი თუ უნივერსალიზმი

ეფექტური და ადეკვატური სოციალური უსაფრთხოების სისტემის შექმნა სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

სოციალური უსაფრთხოების სისტემების დიზაინს სტრუქტურული და კულტურული ფაქტორები განსაზღვრავს.

სტრუქტურული ფაქტორებია: ეკონომიკური, დემოგრაფიული, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული.

კულტურული ფაქტორებია: ღირებულებათა სისტემები, იდეოლოგია.

სოციალური პოლიტიკის აგება ძირითადად ორი გზით ხდება:

1. სოციალური პოლიტიკა მოტივირებულია წმინდად ჰუმანური მოსაზრებებით, რომლის დროსაც საზოგადოება აცნობიერებს და თავის თავზე იღებს მორალურ ვალდებულებას, დაეხმაროს სხვადასხვა კატეგორიის უმწეო ადამიანებს. ასეთი მიდგომის მიზანია ადამიანის კეთილდღეობის ხელშეწყობა. ამგვარი მიდგომა შეესაბამება კეთილდღეობის ინსტიტუციონალურ კონცეფციას.
2. სოციალური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ფართომასშტაბიანი და კომპლექსური სოციალური პრობლემების გადაჭრა, ხოლო ინდივიდის კეთილდღეობის ხელშეწყობა წარმოადგენს საშუალებას საბოლოო მიზნის მისაღწევად. ეს არის კეთილდღეობის რეზიდუალური კონცეფცია.

სოციალურ პროგრამებს, რომლებიც ზღუდავენ მათში მონაწილეობას (eligibility) ქონებრივი კრიტერიუმებით (means test - ჩვეულებრივ, ეს არის ქონებრივი სტატუსი და შემოსავლის ოდენობა) – სელექციურ პროგრამებს უწოდებენ. მათგან განსხვავებით, არაქონებრივ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ პროგრამებს უნივერსალურ პროგრამებს უწოდებენ. სახელმწიფო დახმარების პროგრამები, მრავალი სხვადასხვა სოციალური მომსახურებები, ძირითადად ქონებრივ კრიტერიუმებზე დაფუძნებულია. ამავდროულად, არსებობს არაქონებრივ კრიტერიუმებზე დაფუძნებული პროგრამები – დაწყებითი და საშუალო განათლების, სოციალური დახმარების პროგრამები, ბავშვთა დაცვის მომსახურება, მრავალი კონკრეტული მომსახურება მოხუცებისთვის, ჯანდაცვის და სხვა პროგრამები.

ერთ-ერთი ძირითადი სადაო საკითხი სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით არის სწორედ ის, თუ როგორ საფუძველზე სელექციურ თუ უნივერსალურზე უნდა იყოს დაფუძნებული სოციალური მომსახურება. სელექციური მომსახურება მიეწოდება მათ, ვინც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს – განიცდის უკიდურეს საჭიროებას. უნივერსალური მომსახურება ნიშნავს იმას, რომ ის მიეწოდება გარკვეული ჯგუფის ყველა წევრს, მიუხედავად პირადი საჭიროებებისა (მოქალაქეობრივი უფლება).

მექანისში, რომლის საფუძველზე სელექციური მომსახურება ხორციელდება არის ქონებრივი მდგომარეობის ტესტი (ადამიანების შემოწმება მათი შემოსავლის, ქონების ანდა ორივეს საფუძველზე). სელექციური მიდგომა ეფუძნება იმას რომ, საკუთარი თავის დახმარებაზე პირველ რიგში თვითონ კონკრეტულმა პიროვნებამ უნდა იზრუნოს. სახელმწიფოს ჩარევა კი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია მიზანშეწონილი.

უნივერსალიზმისა და სელექტივიზმის გარშემო არსებული დებატების არსი მდგომარეობს სწორედ იმას, რომ გაირკვეს, რომელი კრიტერიუმების საფუძველზე უნდა ხდებოდეს სელექცია.

სელექციური მომსახურების დროს მხედველობაში მიიღება კონკრეტული პირის მდგომარეობა.

უნივერსალური მომსახურების დროს მხედველობაში მიიღება კონკრეტული პირის მიკუთვნება უნივერსალური კატეგორიისადმი რომლისთვისაც გამიზნულია მოცემული მომსახურება.

ვინც მხარს უჭერს კეთილდღეობისადმი რეზიდუალურ მიდგომას<sup>1</sup>, ის სელექტივიზმის მომხრეა.

სელექტივიზმის წინააღმდეგ გამოთქმული ძირითადი არგუმენტი არის ის, რომ სოციალური უზრუნველყოფა გამიზნულია მხოლოდ ყველაზე ღარიბი ფენისთვის და გარკვეულად ასოცირდება ქველმოქმედებასთან. ამიტომ სოცუზრუნველყოფა ხდება სტიგმატიზებული. ის, რომ მომსახურებას იღებენ მხოლოდ ყველაზე ღარიბები, ასევე გულისხმობს, რომ სოციალური არაუზრუნველყოფის გამომწვევი მიზეზები თვითონ კონკრეტულ პირებში მდგომარეობს და არა ზოგადად სოციალურ სისტემაში.

რაც უფრო ფართო სფეროს მოიცავს სოცუზრუნველყოფა, მით უფრო მეტად აღიქმება ის როგორც მოქალაქის უფლება, მაშინ როცა სელექციური სოცუზრუნველყოფა იწვევს "ერის დაყოფას" პირველ და მეორეხარისხოვან მოქალაქეებად. პროგრამაში მონაწილე პირები იძულებული არიან აღიარონ თავი უმწეო (დამარცხებულ) ადამიანებად. საბოლოო ჯამში, ეს იწვევს ინდივიდის სტიგმატიზაციას.

სელექციური პრინციპი გარკვეულ პრაქტიკულ სირთულეებთანაც არის დაკავშირებული. კომპლექსურობის გამო, დიდია ალბათობა იმისა, რომ ინდივიდმა არ იცოდეს, რა ეკუთვნის. ჩვეულებრივ, წესები, რომლებიც ადგენენ, თუ ვის აქვს სარგებლის მიღების უფლება, ძალიან დეტალურად განსაზღვრავენ დაშვების კრიტერიუმებს. ზედმიწევნითი დეტალიზაციის და ქონებრივი მდგომარეობის ტესტის გამო, არსებობს სიღარიბეში დარჩენის საფრთხის საშიშროებაც. ეს იმითაა გამოწვეული, რომ დასაშვებობის ზედა ზღვართან მყოფ პირებს შეიძლება დაეკისროთ ჯარიმები მათი შემოსავლის თუნდაც მცირედენით გაზრდისათვის, თუ ამას არ განაცხადებენ, ხოლო თუ განაცხადებენ, ისინი დამატებითი შემოსავლის გამო შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოირიცხონ დახმარების მიღების პროგრამებიდან. ან შეიძლება მათ უფრო დიდი გადასახადები დაეკისროთ, რის შედეგადაც უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ვიდრე ადრე, სანამ შემოსავალს გაზრდიდნენ. შემოსავალზე დაფუძნებული სელექციური მექანიზმები და მომსახურებები გულისხმობს, რომ სიღარიბე არის აბსოლუტური და არა შედარებითი მდგომარეობა. მისი ფილოსოფიური საფუძველი ინდივიდუალიზმია.

უნივერსალიზმის პრინციპი გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებს, მაგრამ არ იძლევა თანაბარი შედეგის გარანტიას. ამის ნათელი მაგალითია უნივერსალური განათლების სისტემა. უნივერსალიზმი ეფუძნება მოქალაქეობრივ უფლებების განხორციელების კოლექტივისტურ პრინციპებს. კლასიკური დეფინიციის თანახმად, უნივერსალიზმი უპირველეს ყოვლისა მოიაზრებს თანასწორობას, თავისუფლებას და სოციალურ ინტეგრაციას, მაგრამ ამ დეფინიციის იგნორირებულია კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემისთვის იმთავითვე დამახასიათებელი უთანასწორობა. ის ვინც მხარს უჭერს ინსტიტუციონალურ მიდგომას<sup>2</sup>, უნივერსალიზმის და სიღარიბისადმი შედარებითი მიდგომისა მომხრეა.

## ცნებები და განსაზღვრებები

"უნივერსალიზმი ნიშნავს მომსახურებების შექმნას და მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მთელი მოსახლეობისთვის ისე, რომ ბენეფიციარი არ გრძნობს საკუთარი სტატუსის, ღირსების ან თავმოყვარეობის დამცირებას". "აქცენტი კეთდება ყველა მოქალაქის სოციალურ უფლებაზე, მიიღოს

<sup>1</sup> სახელმწიფო სოცუზრუნველყოფა მხოლოდ მაშინ იწვევს მოქმედებას, როდესაც დახმარების ბუნებრივი მექანიზმები – ოჯახი, ბაზარი, ქველმოქმედება - აღარ არსებობს. სახელმწიფო სოცუზრუნველყოფის მოქმედების საფუძველი არის ადამიანის საჭიროება და არა მისი უფლება და ასეთი უზრუნველყოფა მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. სახელმწიფო დახმარების სფერო მხოლოდ ყველაზე ღარიბებით იფარგლება. სოცუზრუნველყოფას, რომლის დროსაც ბენეფიციარი იმყოფება საარსებო მინიმუმის ზღვარს ზემოთ, უარყოფითად აფასებენ. სახელმწიფო მხოლოდ უკანასკნელი საშუალებაა.

<sup>2</sup> სოციალური უზრუნველყოფა საზოგადოების ერთ-ერთი პირველადი ფუნქციაა. ინსტიტუციონალურ სოციალურ უზრუნველყოფაზე ორიენტირებული სახელმწიფო მიზნად ისახავს თავისი მოქალაქეებისათვის ღირსეული ცხოვრების დონის უზრუნველყოფას და იძლევა "მოქალაქეობრივი უფლებების" სრულად განხორციელების უპირობო გარანტიას.

საზოგადოების მიერ გამოყოფილი მომსახურება იმ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომელთა უზრუნველყოფა არ შეუძლია კერძო ბაზარს ან ოჯახს".

სელექტივიზმი გულისხმობს ქონებრივი მდგომარეობის ინდივიდუალური ტესტის გამოყენებას ანუ ინდივიდის რესურსების გარკვევას იმისათვის, რომ დადგინდეს არის თუ არა მოცემული ინდივიდი იმდენად გაჭირვებული, რომ მას უფასო მომსახურება ან ფულადი დახმარება მიაწოდონ.

## სელექტივიზმი

ძირითადი დაშვებები:

1. პროდუქტები და მომსახურებები, რომელთა მიწოდებაც თანამედროვე სოციალურ სახელმწიფოში "ცენტრალური" მნიშვნელობისაა, თავისი ხასიათითა და ბუნებით არაფრით განსხვავდებიან ბაზარზე გამოტანილი სხვა პროდუქტებისა და მომსახურებებისგან.
2. ფასების მექანიზმი ბაზარზე ასრულებს თავის უპირველეს ამოცანას, რაც მდგომარეობს ინფორმირებული მომხმარებლებისა და მიწოდებლებისთვის ეფექტური ინდიკატორის ფუნქციას.
3. მოთხოვნა არ არის ზედმეტად ხისტი.
4. მომხმარებლები იქცევიან რაციონალურად და იღებენ რაციონალურ გადაწყვეტილებებს ხარჯებისა და სარგებელის შესახებ

*სელექტივიზმის ძირითადი მახასიათებლები:*

1. გადასახადები უფრო ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც რესურსების განაწილების ხერხი სოციალური უზრუნველყოფის სფეროში.

- 1.1. როდესაც "მომსახურებები" გადადის სახელმწიფოს ჩარევის სფეროში, ამ მომსახურებებს უნდა მიეცეს "დამსახურებული დახმარების" (merit goods) სტატუსი.
- 1.2. რადგან სიღარიბის გამო მომხმარებელი მოწყვლადია, ლოგიკურია, რომ "უფასო" სარგებლის მიღების უფლების მინიჭების ან გადასახადის გაუქმების საკითხი უნდა გადაწყდეს ქონებრივი მდგომარეობის ტესტის – როგორც დაშვების კრიტერიუმის – გამოყენებით.
2. არსებული მომსახურებების მიწოდება უნდა შეესაბამებოდეს იმ ხარჯებს, რომლებიც საზოგადოებას უჯდება ამ მომსახურების გაწევა
3. საბაზრო ოპერაციები ქმნის ისეთ მოტივაციას და გარემოს, რომელშიც მომწოდებლებს შეუძლიათ ეფექტურად მოქმედება.
4. გამოცდილება ცხადყოფს, რომ არ არსებობს კონსენსუსი უნივერსალიზმის სასარგებლოდ

## უნივერსალიზმი

ძირითადი დაშვებები:

1. სოციალური მომსახურების პროდუქტები თავისი არსით ისეთი ხასიათისაა, რომ მათი გატანა ბაზარზე მიზანშეუწონელია. ამიტომაც სოციალური მომსახურების პროდუქტები სამართლიანად ითვლება "დამსახურებულ" პროდუქტებად.
2. კონკრეტული ადამიანის შესაძლებლობა, მოითხოვოს ის, რასაც თვითონ თვლის "დამსახურებულ" პროდუქტებად, გაცილებით უფრო შეზღუდულია, ვიდრე ეს ზოგადად წარმოუდგენიათ
3. ქონებრივი მდგომარეობის ტესტის გამოყენებით მომსახურების მიღება შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ კონფლიქტად სოციალური პოლიტიკის ეთიკასა და შრომის ეთიკას შორის. ქონებრივი მდგომარეობის ტესტის გამოყენებით მომსახურების მიღება აუცილებლად მოიცავს საკუთარი თავის პატივისცემის დაქვეითებას, რაც თავის მხრივ იწვევს სტიგმატიზაციას.

# პრინციპებიდან პრაქტიკისკენ

## სტიგმა

სტიგმის განსაზღვრება ასეთია: "საკუთარი თავის პატივისცემის და პირადი ღირსების დაკარგვა, დამნაშავეობის, სირცხვილის, შეცდომის ან მარცხის შეგრძნება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს თავისი თავი წარმოუდგენია მეორეხარისხოვან მოქალაქედ."

## დაკმაყოფილებული მოთხოვნების ოდენობა (Take-up rates)

ქონებრივი მდგომარეობის ტესტის საფუძველზე სარგებლის მიკუთვნების შემთხვევები ყოველთვის ცოტაა.

საჭიროა მუდმივი ინფორმაციის გავრცელება საზოგადოების გათვინცნობებისთვის იმაში, თუ ვის ეკუთვნის სარგებელი ქონებრივი მდგომარეობის ტესტის მიხედვით. თუ სარეკლამო და ინფორმაციულ კამპანიას ექნება ინტენსიური და ხანგრძლივი ხასიათი, მაშინ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა გაიზრდება.

## ადმინისტრაციული ხარჯები

სელექციური სარგებლების ადმინისტრირება იმთავითვე უფრო ძვირია, ვიდრე უნივერსალური სარგებლებისა.

## ეკონომიკური და სოციალური ცვლილების გავლენა

მახასიათებლები	უნივერსალიზმი	სელექტივიზმი
ეფექტურობა	დაკმაყოფილებული მოთხოვნების მაღალი ან ძალიან მაღალი რაოდენობა	დაკმაყოფილებული მოთხოვნების ცვლადი (ჩვეულებრივ, დაბალი) რაოდენობა
პოლიტიკის ამოცანებისადმი შესაბამისობა	რესურსების ზედმეტი ხარჯვა	რესურსების ეფექტიანი ხარჯვა
ადმინისტრაციული ხარჯები	დაბალი	მაღალი
მოლოდინი სახელმწიფო დანახარჯებთან დაკავშირებით	შედარებით მეტ ხარჯებს მოითხოვს სახელმწიფოსგან	ნაკლებ ტვირთად აწევა სახელმწიფო ბიუჯეტს
სოციალური ხარჯები და სოციალური სარგებლები	1. სტიგმის არარსებობა 2. ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას 3. ყველას ეხება თანაბრად	1. მნიშვნელოვანი სტიგმატიზაცია 2. ხდება სოციალური დაყოფა 3. სამართლიანი
მოლოდინი შრომის ბაზართან დაკავშირებით	ხელს უწყობს დასაქმების მოტივაციას	თეორიულად ზიანს აყენებს დასაქმების მოტივაციას (სიღარიბის საშიშროება)

ინდივიდუალური ღირებულებები

სელექტივიზმი
ქონებრივი მდგომარეობის ტესტი
ძლიერი ადმინისტრირება: იურიდიული ნორმები თუ ადმინისტრატორის პირადი შეხედულება
დაკმაყოფილებული მიმართების ცვლადი (როგორც წესი, დაბალი) რაოდენობა
რესურსების ეფექტური გამოყენება
მაღალი ადმინისტრაციული ხარჯები
სახელმწიფო ბიუჯეტზე ზეწოლა მცირდება
1. ძლიერი სტიგმატიზაცია 2. სოციალური დაყოფა 3. სამართლიანობა
მაღალი გადასახადები თეორიულად ზიანს აყენებს დასაქმების მოტივაციას (სიღარიბის საშიშროება)
აბსოლუტური სიღარიბე
ქვედა დონე ზემოთ?

კოლექტიური ღირებულებები  
უპირატესობა დაკავშირებულია  
სახელმწიფო სოცურუნველყოფასთან.

სახელმწიფო ახორციელებს  
სოცურუნველყოფას, რათა მოახდინოს საბაზრო  
ურთიერთობით გამოწვეული არასასურველი  
შედეგების კომპენსაცია.

უნივერსალიზმი
დაკმაყოფილებული მიმართების მაღალი/მაღიან მაღალი დონე
ზედმეტი რესურსების ხარჯვა
დაბალი ადმინისტრაციული ხარჯები
სტიგმა არ არსებობს
შედარებით მეტ ხარჯებს ითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან
ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას ეგალიტარულობა
ხელს უწყობს დასაქმების მოტივირებას
შედარებითი სიღარიბე
ზედა დონე ქვემოთ?

# დისკუსია

## ქვეყნების კლასიფიკაცია

ქვეყნებს უმეტესობას დღეს შერეული სოციალური დაცვის პროგრამები გააჩნიათ. კლასიფიკაცია რომელსაც ჩვენ წარმოგიდგინებთ დაფუძნებულია კლასიკურ მიდგომაზე: სელექტიური თუ უნივერსალური

უნივერსალიზმი	სელექტივიზმი
დიდი ბრიტანეთი	ავსტრია (ოჯახისთვის დახმარების გაცემა არ არის დამოკიდებული ქონებრივი მდგომარეობის ტესტზე)
შვედეთი	გერმანია (ბავშვისთვის დახმარების გაცემა არ არის დამოკიდებული ქონებრივი მდგომარეობის ტესტზე)
ფინეთი	ბელგია
ირლანდია	იტალია (ეროვნული ჯანდაცვის სიტემა)
გერმანია	საფრანგეთი (ბავშვისთვის დახმარების გაცემა არ არის დამოკიდებული ქონებრივი მდგომარეობის ტესტზე)
პორტუგალია	საბერძნეთი (ეროვნული ჯანდაცვის სიტემა)
	ლუქსემბურგი (ბავშვისთვის დახმარების გაცემა არ არის დამოკიდებული ქონებრივი მდგომარეობის ტესტზე)

ანგლო-საქსონური ტიპის სოციალური სახელმწიფოები ხასიათდებიან “რეზიდუალური სოციალურ-ეკონომიკური რეჟიმით”, რომლის დროსაც სახელმწიფო გამოდის “მიმართვის ბოლო ინსტანციის” როლში. სკანდინავიური სოციალურ-დემოკრატიული “სოციალურ-ეკონომიკური რეჟიმი” ხასიათდება სრული დასაქმებით, რომლის დროსაც სახელმწიფო გამოდის “პირველი რიგის დამსაქმებლის როლში”. დასაქმების უფლება გარანტირებულია სოციალური სახელმწიფოს მოქალაქეობრიობის კონცეფციით. ეს კონცეფცია გულისხმობს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, რამეთუ დასაქმების უფლება ინსტიტუციონალიზებულია სახელმწიფოს მიერ და არ არის დამოკიდებული შრომით ბაზარზე.

თუ თვალს გადავაგვლებთ იმ ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია სოციალური დაცვის უნივერსალისტური და სელექტიური სისტემებისათვის, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს პირველი კოლექტივისტური საზოგადოებებისათვის არის გათვლილი, ხოლო მეორე - ინდივიდუალისტურისათვის. მაგრამ რეალობა სხვაგვარია. ქვეყნები, სადაც ინდივიდუალიზმის მჩვენებელი მაღალია (დიდი ბრიტანეთი, სკანდინავიის ქვეყნები), უნივერსალისტურ სისტემას ამჯობინებენ, ხოლო შედარებით უფრო კოლექტივისტურები (საბერძნეთი, იტალია) - სელექტიურს.

როგორც ეტყობა სოციალური დაცვის სისტემის არჩევაში კულტურის ინდივიდუალისტურ-კოლექტივისტური განზომილება ნაკლებად აისახება.

იმისათვის რომ, უფრო ნათელი გახდეს კულტუროლოგიული როლი სოციალური სისტემის მოწყობაში საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრის შემოტანა - სარგებლის ოდენობა (benefite level).

მაგალითისათვის ავიღოთ 2 პარამეტრი: ხალხის რაოდენობა, რომელიც იღებს სარგებელს სარგებლის სიდიდე.

- თუ ჩვენ **N** ავლნიშნავთ მოსახლეობის მთელ რაოდენობას, რომელიც იღებს სარგებელს (უნივერსალურად) მაშინ **n** ასახავს მოსახლეობის იმ მცირე რაოდენობას, რომელიც იღებს სარგებელს დაფუძნებულს means tests –ზე.
- თუ ჩვენ **B** ავლნიშნავთ სარგებლის სიდიდეს, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ ხარისხს, მაშინ შესაბამისად **b** იქნება ის უმცირესი რაოდენობა, რომელიც სასიცოცხლო მინიმუმს უზრუნველყოფს .

ამ ორი სიდიდის შესაძლო კომბინაციებია:

1. **N x B** – უნივერსალურად მაღალი სარგებელი - ცხოვრების ხარისხი. მის მაგალითია სკანდინავიის ქვეყნები
2. **N x b** – უნივერსალურად მცირე სარგებელი – ცხოვრების სასიცოცხლო მინიმუმის უზრუნველყოფა. მაგალითად, ინგლისი
3. **B x n** – მაღალი სარგებელი, მხოლოდ მოსახლეობის მცირე (ყველაზე გაჭირვებულ) რაოდენობაზე. ამის მაგალითია- გერმანია.
4. **b x n** – მინიმალური სარგებელი მოსახლეობის მცირე რაოდენობაზე, რომელიც დაფუძნებულია means tests- ზე. მაგალითად, აშშ.

სოციალური სისტემები არ არის მიმართული ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, (სკანდინავიის ქვეყნების გარდა) არამედ გარანტირებული მინიმუმის შესაქმნელად. ცხოვრების მაღალი ხარისხი ინდივიდუალური ზრუნვის საგანია, რომლის პირობებსაც სახელმწიფო ქმნის (მაგ. საგადასახადო სტიმულებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობით და სხვა)

საზგასმით მინდა ავლნიშნო, რომ ის ქვეყნებიც კი რომელთა სოციალური დაცვის სისტემები სარგებელს მინიმალურ ოდენობაზეა ორიენტირებული, ამ სისტემების საშუალებით უზრუნველყოფენ ცხოვრების გარკვეულ ხარისხს.

საქართველოში სოციალური დაცვის ერთადერთი ცნობილი სისტემა საბჭოთაა. ეს სისტემა უნივერსალისტურ ხასიათს ატარებდა (მინიმალური პენსიით უზრუნველყოფილი ყველა იყო), მისთვის დამახასიათებელი იყო კატეგორიული (categorical) უნივერსალიზმი (სხვადასხვა დახმარება ინვალიდებს, მრავალშვილიანებს და სხვ.). თუმცა მთავარი აქ ისაა, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ხალხებს მემკვიდრეობად ეტაცისტური მენტალიტეტი დარჩათ. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოსაგან მოელოდნენ, რომ მან უნდა უზრუნველყოს თავისი ქვეშევრდომები. საქართველოში არსებული რეჟიმით მძაფრ უკმაყოფილებას ძირითადად ეს საფუძველი აქვს. ასე რომ, სოციალური მოლოდინი, საფიქრებელია, უნივერსალისტური სისტემისაკენ იხრება. ამასთან უნდა ავლნიშნოთ, რომ სელექციური სისტემისათვის

დამახასიათებელი სტიგმატიზაციის საშიშროება საქართველოში არაა. მთავარი მაინც ისაა, რომ სოციალური დაცვის მოლოდინების ფოკუსი მთლიანად სახელმწიფოზეა ორიენტირებული.

თუ სოციალური დაცვის ზოგადი კონცეფციის შერჩევა დადგება დღის წესრიგში, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოსათვის ფსიქოლოგიურად უფრო მისაღები უნივერსალისტური მოდელი გამოიყურება, თუმცა სელექციური ელემენტებიც გასათვალისწინებელია. სასურველია, ამასთან, საზოგადოებრივ ცნობიერებაში მოხდეს სოციალური დაცვის „განსახელმწიფოებრიობა“; პირველ ეტაპზე თუნდაც ის, რომ სოციალური დაცვა ასოცირდებოდეს არა ზოგადად სახელმწიფოსთან ან პირადად შევარდნაძესთან, არამედ კონკრეტულ უწყებასთან, ფონდთან და მისთ. არაა გამორიცხული, რომ სოციალური დაცვის კონცეფციის შემუშავებისას არაორდინარული მოდელების შემუშავება გახდეს მიზანშეწონილი.

სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საკვანძო პრობლემად ის უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოში არსებობს ეკონომიკური მენტალიტეტის მკვეთრი დეფიციტი: სახელდობრ ცხოვრებისეული რეალიები არ ასოცირდება ეკონომიკურ კატეგორიებთან. შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის სისტემა არ უკავშირდება საგადასახადო სისტემას, ბაზრის დაცვას, ბიუჯეტს და სხვ. თითქოს გასაგებია, რომ კარგი სოცუზრუნველყოფის სისტემა ძვირია, მაგრამ სწორედ რომ თითქოს: მოსახლეობა არაა მზად, რომ დღეს იხადოს ფული მომავალი ჯილდოს იმედით (ამის ყველაზე კარგ მაგალითს სადაზღვევო ბიზნესის მდგომარეობა იძლევა).

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველაზე რეალური საქართველოსათვის მოჩანს ინგლისის უნივერსალისტური სისტემა: ყველას ცოტ-ცოტა.